თორნიკე ქადეიშვილი

აკადემიის დასასრული

სიცრუე და ორპირობა ...
(ეს ეპიგრაფი იყოს)

როცა ვიხსენებ, რამდენი სიცრუე და მზაკვრობა გამოიყენა მინისტრმა ლომაიამ აკადემიასთან ბრძოლაში, მიჩნდება აზრი, რა ტყუილად ცდება ეს კაცი განათლების მინისტრის პოსტზე. სამხედრო მინისტრად რომ დანიშნონ და ისევე რომ მოატყუოს ბაგაბში და კოკოითი, როგორც ჩვენ გვატყუებდა, იქნებ ოსეთი და აფხაზეთი უკვე დაბრუნებული გვექნებოდა.

ტყუილი 1. სტრიქონი ბიუჯეტში

არსებობს კანონი აკადემიის შესახებ, რომლის თანახმადაც აკადემია ''ცალკე სტრიქონით ფინანსდება უშუალოდ ქვეყნის ბიუჯეტიდან''. მინისტრს ჰქონდა დაუოკებელი სურვილი გადმოეყვანა აკადემია სამინისტროს დაქვემდებარებაში. პირველ ეტაპად აკადემიის სამინისტროს ბიუჯეტში გადაყვანა მოინდომეს. ამისათვის 2005 წლის ბიუჯეტის პროექტში აკადემია უკვე აღარ იყო ცალკე სტრიქონად, არამედ აღმოჩნდა სამინისტროს ბიუჯეტში. პარლამენტის სხდომაზე ამას შეეწინააღმდეგა ლადო პაპავა, მას ნინო ბურჯანაზეც დაეთანხმა და პრემიერი ნოღაიდელი აიძულეს ბიუჯეტზე კენჭისყრის წინ განეცხადებინა, რომ აკადემია კვლავ ცალკე დაფინანსებაზე რჩება. 31 დეკემბერს, როცა ბიუჯეტის უკვე დამტკიცებული ვარიანტი პარლამენტში ხელმოსაწერად მიიტანეს აღმოჩნდა, რომ აკადემია მაინც სამინსტროს ბიუჯეტშია. პარლამენტში უკვე კენჭნაყარ კანონში მუხლი აკადემიის შესახებ შეცვალეს საწინააღმდეგოზე!

შემდეგ სამინისტრომ ასე უპასუხა ბრალდებას კანონის გაყალბების შესახებ: რა გინდათ, აკადემია ისევ ცალკე სტრიქონადაა ბიუჯეტშიო. იგულისხმებოდა, რომ ფურცელზე აკადემია მართლაც ცალკე სტრიქონზე ეწერა, ოღონდ სამინსტროს აბზაცში!

ტყუილი 2. პრეზიდენტის გაქცევა

ცხადია ამ ამბავმა აღშფოთება გამოიწვია აკადემიაში (მაშინ აკადემიკოსებს ჯერ კიდევ ჰქონდათ აღშფოთების თავი). საახალწლო დასვენების დღეები იყო, ამიტომ მგონი 6 იანვარს დაინიშნა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც უნდა დაფიქსირებულიყო აკადემიკოსთა პროტესტი ამ საბიუჯეტო ტრიუკის გამო.

ჰოდა, წინა საღამოს ტელევიზიით გადაიცა სიუჟეტი, რომ მოსკოვში ჩვენი აკადემიის კუთვნილი მუზეუმის შენობა აკადემიის პრეზიდენტმა ალბერტ თავხელიძემ გაყიდა! მეორე დილით, პირველივე თვითმფრინავით პრეზიდენტი თავხელიძე მოსკოვში გაიქცა და იქიდან გამოაგზავნა განცხადება გადადგომის შესახებ. არ ვაპირებ თავხელიძის დაცვას და გამართლებას, მაგრამ ამ საქმეში სრულიად უბრალო იყო: მერე გაირკვა, რომ არავითარი შენობა მოსკოვში აკადემიას არ ჰქონია და არავის არაფერი არ გაუყიდია, მაგრამ ეს უკვე აღარავის ანიტერესებდა, მთავარი მიზანი შესრულდა – აკადემიის პრეზიდენტი გაიქცა!

ტყუილი 3. აკადემიური საროსკიპო

''კრიმინალი'' პრეზიდენტის გაქცევის შემდეგ PR კამპანია აკადემიის წინააღმდეგ ახალი ძალით გაგრძელდა. ისევ ტელევიზიით გადაიცა სიუჟეტი, რომ აკადემიის ერთერთი ინსტიტუტის სარდაფში გამართული იყო საროსკიპო! მთელი ქალაქი ამ ''როსკიპ'' აკადემიკოსებზე საუბრობდა. მერე აღმოჩნდა (და იმავე ტელევიზიითაც გადაიცა), რომ ეს ინსტიტუტი სულაც არ ეკუთვნოდა მეცნიერებათა აკადემიას, არამედ იყო სოფლის მეურნეობის აკადემიისა. თანაც ამ ინსტიტუტის სარდაფი უქირავებია რაღაც ფირმას და იქ საუნა მოუწყია.

ტყუილი 4. ''დადიანების'' იარაღი

PR კამპანია გრძელდება. მინისტრი ტელევიზიით საუბრობს იმაზე, რომ აკადემიამ გაასხვისა ექსპონატები დადიანების სასახლის მუზეუმიდან, ამის დამამტკიცებელი საბუთიც ტელეეკრანებიდან დაგვანახა. ეკრანზე გამოჩნდა დოკუმენტის თარიღი – 1992 წელი, ხელმოწერა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ანდრია აფაქიძისა იყო. მერე გაირკვა, რომ 1992 წელს, ზუგდიდის დალაშქრვისას, მხედრიონს გაუტანია მუზეუმში როდესღაც დასაწყობებული შაშხანები (''ვინტოვკები''), ვიცე-პრეზიდენტმა ანდრია აფაქიძემ კი შემდეგ ხელი მოაწერა დოკუმენტს ამ ''ექსპონატების'' ჩამოწერის შესახებ. სიმართლე გაირკვა, მაგრამ ისევ გვიან: 90-ს გადაცილებული აკადემიკოსი ნერვიულობას გადაჰყვა, გარდაიცვალა.

ტყუილი 5. ჩხრეკა მათემატიკის ინსტიტუტში

ამ ამბავს მე თავად შევესწარი. 2005-ის ოქტომბერი იყო მგონი. დილით ინსტიტუტში შევნიშნე 10-15 უცნაური გარეგნობის ახალგაზრდა, სართულებზე დადიოდნენ, ოთახებში იხედებოდნენ, მე მკითხა ერთერთმა, სად არის აქ კერძო ფირმა, ამ შენობაში ოთახებს რომ ქირაობსო. მერე გაირკვა, რომ ესენი ფინანსური პოლიციიდან იყვნენ, შევიდნენ ჩვენი დირექტორის ვანო კიღურაძის ოთახში, გამოუცხადეს, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აღძრულია საქმე ინსტიტუტის ოთახების უკანონო გაქირავების შესახებ და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ჩაატარონ ჩხრეკა მის კაბინეტში და დოკუმნტების ამოღება, რომ აკადემიკოსმა მისი მაკომპრომენტებელი დოკუმენტები არ გაანადგუროს. გაჩხრიკეს ბატონი ვანოს ოთახი, წაიღეს მისი პირადი ქაღალდები, დალუქეს ინსიტუტის ბუღალტერია და წავიდნენ. კველაფერი ეს საღამოს ტელევიზიებით გადაიცა. იმავე დღეს ასეთივე ოპერაცია ჩატარდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტშიც, რომლის დირექტორია თემურ ნანეიშვილი, რომელიც ბატონ ვანოსთან ერთად აკადემიისათვის ბრძოლის ლიდერია.
არ უნდა ლაპარაკი, რომ არც არაფერი გამოუძიებიათ. მესამე დღეს საბუთები დააბრუნეს, დალუქული ბუღალტერიაც გახსნეს ისე, რომ არც კი შესულან შიგ. ეს ნიშნავს, რომ არც არაფერი აინტერესებდათ, მხოლოდ დისკრედიტაცია იყო მიზანი. შემდეგ ბატონი ვანო იხსენებდა, რომ ეს იყო მეორე ჩხრეკა მის მეხსიერებაში. პირველი იყო, როცა მისი მამა დააპატიმრეს 37-ში.

ტყუილი 6. აკადემია ინსტიტუტების გარეშე

2005-ის ოქტომბერში შედგა პარლამენტის განათლების კომისიის სხდომა, სადაც მოხერხდა აკადემიის რეფორმირების ჩვენი გეგმის წარდგენა, და მოხდა უცნაური რამ – კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი აღფრთოვანდა ამ ჩვენი გეგმით და თქვა, რომ ვერ ხედავს ტრაღიკულ განსხვავებას ჩვენს და ლომაის გეგმებს შორის (თუმცა ლომაიას გეგმა ითვალისწინებდა აკადემიის, როგოც ინსტიტუტთა გაერთიანების, გაუქმებას, ამაზე ქვემოთ) რომ ამ ჩვენს გეგმას აიღებს საფუძვლად აკადემიის შესახებ კანონის შედგენისას. დაიწყო ინტენსიური მუშაობა ჩვენი ხალხისა გრიგალაშვილთან ერთად ამ კანონზე და უცებ, მოულოდნელად, 22 დეკემბერს პარლამენტი იხილავს სულ სხვა კანონს – კანონს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შესახებ – რომლის თანახმად ინსტიტუტები გამოდიან აკადემიის შემადგენლობიდან და აკადემია გადაიქცევა მხოლოდ აკადემიკოსთა კლუბად. ამის შემდგეკ კანონმა აკადემიის შესახებ, რომელზეც გრიგალაშვილთან ერთად ვმუშაობდით, ყოველგვარი აზრი დაკარგა.

ტყუილი 7. საბაზო დაფინანსება

აკადემიიდან გაგდებულ ინსტიტუტებში ლომაიას გეგმით უნდა ყოფილიყო მხოლოდ საგრანტო დაფინანსება: გაქვს გრანტი – მუშაობ, არ გაქვს – ერთი წელი ბაზრობაზე სიგარეტს ყიდი, თან ამზადებ პროექტს მომავალი კონკურსისთვის. თუ მოიგებ – მოდიხარ ინსტიტუტში, თუ არა – ბრუნდები ბაზრობაზე. დაახლოებით ასე ხედავს მეცნიერების ორგანიზაციას ლომაია. არ იცის, რომ ყველგან მსოფლიოში მეცნიერები იღებენ ხელფასს, გრანტი კი დამატებითი დაფინანსებაა სამეცნიერო საჭიროებებისთვის და არა ცხოვრების წყარო. მაგრამ გრიგალაშვილმა მოახერხა და კანონში, ჩვენი მოთხოვნით, ჩააწერინა, რომ ინსტიტუტებს ექნებათ საგრანტოს გარდა საბაზო დაფინანსებაც. ეს იყო აღქმული, როგორც ჩვენი გამარჯვება. ლომაია ძალიან უკმაყოფილო იყო. და აი ახლახან ლომაია გამოდის ერთ კონფერენციაზე და განმარტავს რა ესმის საბაზო დაფინანსების ქვეშ: მისი აზრით ეს არის ადმინისტრაციის ხელფასი და ინფრასტრუქტურის ხარჯები (დენისა და წყლის ფული), ხოლო მეცნიერები მხოლოდ გრანტებით დაფინანსდებიან. ისევ მოგვატყუა! ეს ეტყობა ცნობილი მეთოდია მენეჯმენტის თეორიაში – ცნებების შინაარსის გამოცვლა. საბაზო დაფინანსება ყველას ესმოდა როგორც ხელფასი, მან კი გამოაცხადა – ეს მხოლოდ დენის ფულიაო. ყველას გვესმოდა აკადემია როგორც ინსტიტუტთა ერთობა, მან კი გამოაცხადა – ეს მხოლოდ 130 აკადემიკისგან შემდგარი კლუბიაო.

ტყუილი 8. აკადემიის ქონება

ეს ტრიუკი – აკადემიის ცნების შინაარსის გამოცვლა უფრო ოსტატურადაც იყო გამოყენებული. არსებულ კანონში აკადემიის შესახებ წერია, რომ აკადემიის ქონების პრივატიზაცია არ შეიძლება! კანონის ამ მუხლის შეცვლა თეთრი ძაფით იქნებოდა ნაკერი: გამოჩნდებოდა, რომ სამინისტროს ინსტიტუტების შენობებ აინტერესებს, და არა მეცნიერება. მათ კი აი რა ქნეს: გამოცვალეს აკადემიის ცნება. აკადემია, როგოც უკვე ვთქვი, ახლა არის

აკადემიკოსთა კლუბი, რომელსაც არავითარი ქონება არ გააჩნია, ინსტიტუტები კი თავისი შენობებიანად გადავიდნენ აკადემიიდან სამინისტროში, აქ კი მათი ქონების პრივატიზაციას არაფერი არ კრძალავს.
ბევრი დროც არ დაუკარგავთ, ახლახან ლომაიამ გამოაცხადა, რომ თავად აკადემიის თხოვნით აკადემქალაქის ინსტიტუტები შემჭიდროვდებიან და გადავლენ საბურთალოს ბოლოს, ჯიქიას ქუჩაზე და დიღომში, ხოლო აკადემქალაქის ტერიტორიას კი ქალაქს გადასცემენ, რადგან ეს ტერიტორია საბინაო მშენებლობისთვის უფრო მოსახერხებელიაო. და ეს, როგორც კომუნისტურ დროს, მოწოდებული იყო, როგორც ინსტიტუტების თანამშრომელთა ინიციატივა! ცხადია ამას მოყვა გაზეთებში აკადემისს თანამშრომელთა კოლექტიური პროტესტი და თამაზ გამყრელიძი პროტესტიც, მაგრამ ამას უკვე რა მნიშვნელობა აქვს.